ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 162 (7223)

22 1982 წ. აგვისტო, კვირა.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

всесоюзного турнира „кожаный мяч"
финал ·тбилиси·82·

„ტყავის ბურთის"

ფინალური გათამაშება

●

„მართვე" თუ „მრგაშატი"?..

ხალხმრავლობა იყო გუშინწინ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე, სადაც „ტყავის ბურთის" გათამაშების ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართა.

პირველნი სასპარეზოდ სომხეთისა (ოქტემბერიანის რაიონის „მრგაშატი") და ლიტვის (პანევეჟისის „ეგლე") გუნდები გამოვიდნენ. 2:0 სომეხ ფეხბურთელთა სასარგებლოდ — ასე დამთავრდა მატჩის პირველი ტაიმი. შესვენების შემდეგ ლიტველებმა მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შეძლეს, თვითონ კარში კი 3 ბურთი მიიღეს და დამარცხდნენ დიდი ანგარიშით 1:5.

მაყურებლები დიდი ინტერესით მოელოდნენ ჩვენი რესპუბლიკის გუნდების — თბილისის „მართვესა" (ძველდაბის რაიონი) და რუსთავის „იმედის" მატჩს. ნორჩმა რუსთაველებმა პირველსავე წუთზე მიიტანეს იერიში მეტოქის კარზე, მე-8 წუთზე კი მათი მცველის ზურიკო არჩვაძის ძლიერი საჯარიმო დარტყმა ლამაზ ნახტომში მოიგერია მეკარე აკაკი დევაძემ.

იგრძნობოდა, რომ ორივე გუნდი ძალიან ღელავდა. პირველნი „გონს მოვიდნენ" თბილისელები, რომლებმაც მე-18 წუთზე გახსნეს კიდეც ანგარიში. „მართვეს" ცენტრალურმა თავდამსხმელმა ტატო ხელაშვილმა დრიბლინგით გაარღვია მეტოქის დაცვის ხაზი და ზუსტად დაარტყა მიზანში. მიუხედავად გუნდების მრავალი ცდისა, ეს ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში. ანგარიშის გათანაბრების ორი კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედრის მეორე ნახევარში რუსთაველ ფეხბურთელებს, როდესაც ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი გოჩა ჯამარაული ხელსაყრელ პოზიციაში იმყოფებოდა, მაგრამ პირველ შემთხვევაში მან ბოლო მომენტში მიაწოდა ბურთი პარტნიორს (ამას უზუსტო დარტყმა მოჰყვა), მერე კი თვითონვე ააცდინა მიზანს. თავის მხრივ, „მართვესაც" შეეძლო ანგარიშის გადიდება, მაგრამ ხელაშვილმა ბურთი ცარიელი კარის ზედა ძელს მოახვედრა...

თბილისის „მართვე" ფინალში გავიდა, დღეს იგი ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გადამწყვეტ მატჩში შეხვდება სომხეთის „მრგაშატს".

ორიოდე სიტყვა მაყურებლებზე: რუსთაველთა გუნდის მარცხით განაწყენებულმა ზოგიერთმა ვაიგულშემატკივარმა (რომელთა შორის, სამწუხაროდ, ნორჩ ფეხბურთელთა მშობლებიც იყვნენ), დებოში ატეხა მატჩის შემდეგ. მათ დასაშოშმინებლად მილიციის ჩარევა გახდა საჭირო.

დამარცხება და გამარჯვება ძმები არიან! — ნათქვამია და ამიტომ წაგებასაც უნდა შევხვდეთ ღირსეულად, რაინდულად. ამ მხრივ, ვფიქრობთ, კარგი მაგალითის მომცემი იყო რუსთავის გუნდის მწვრთნელი თამაზ დოლიძე[sic] — დოდაშვილი, რომელმაც სამსაჯო ოთახში ოქმის გაფორმების შემდეგ, ერთობ დანაღვლიანებულმა მეგობრულად ხელი ჩამოართვა და მადლობა გადაუხადა მსაჯებს.

მოგვყავს ამ დღეს გამართული დანარჩენი მატჩების შედეგები: ესტონეთი-ბელორუსია — 2:0, ტაჯიკეთი-მოლდავეთი — 1:8, ყირგიზეთი-უზბეკეთი — 0:1, რსფსრ-I-მოსკოვი — 0:3, ყაზახეთი-რსფსრ-III — 0:0 (პენალტებით — 6:5), რსფსრ-V-უკრაინა-II — 2:3, ლატვია-ლენინგრადი — 3:0, რსფსრ-IV-თურქმენეთი — 5:1, აზერბაიჯანი-რსფსრ-II — 0:1.

ო. ოთარაშვილი.

• • •

სურათებზე: „მართვესა" და „იმედის" (მარცხნივ და შუაში), „მრგაშატისა" და „ეგლეს" ნახევარფინალური მატჩების მომენტები.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

ლაპარაკობენ კაპიტნები

ედიკ ტაროიანი („მრგაშატი"):

— **ლიტვის** გუნდი უფრო ძლიერი გვეგონა, ასეთ იოლ გამარჯვებას არ ველოდით. ყურადღებით ვადევნებდით თვალს „იმედისა" და „მართვეს" ორთაბრძოლას. მას ხომ მეორე ფინალისტი — ჩვენი მთავარი მეტოქე უნდა დაესახელებინა. უნდა ითქვას, რომ ჩვენ უფრო რუსთაველთა გამარჯვებას ველოდით.

რაც შეეხება ჩვენს დღევანდელ მეტოქეს თბილისის „მართვეს", იგი მართლაც კარგად ასპარეზობს. გუნდში ყველას შეუძლია თამაში როგორც დაცვაში, ასევე თავდასხმაში. ალბათ, ეს უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენი ერთადერთი ტაქტიკა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შეტევა იქნება. ვიმედოვნებ, რომ გამარჯვებას მივაღწევთ!

ზაზა ძაგანია („მართვე"):

— **ტურნირის** ყველაზე ძნელი მატჩი უკან დარჩა და... ყველაზე ძნელიც წინ არის. ვღელავთ! „იმედის" გუნდთან ძალიან გაგვიჭირდა, განსაკუთრებით გოლის გატანის შემდეგ. ძლივს ვიგერიებდით რუსთაველთა შეტევას. ძალიან ვფრთხილობდით, როცა ბურთი გოჩა ჯამარაულს ჰქონდა. მე, როგორც ცენტრალური მცველი, კარგად ვიცნობ გოჩას თამაშს.

სომხეთის „მრგაშატი" კარგი გუნდია. სამწუხაროა, რომ მხოლოდ ერთხელ ვნახეთ მისი თამაში და ისიც ლიტვის სუსტ გუნდთან. ერთი რამ ცხადია: იოლ მატჩს არ უნდა ველოდოთ. ვეცდებით, სანუკვარი პრიზი თბილისში დავიტოვოთ!

ემზადებიან...

ფიდე-ს გადაწყვეტილებით, ქალთა მსოფლიო პირველობის მეორე საზონათშორისო ტურნირი ჩატარდება 15 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე თბილისში. ამ დიდმნიშვნელოვანი ასპარეზობის მასპინძლობა, რა თქმა უნდა, გულდაგულ მომზადებას საჭიროებს. შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს პროფსაბჭოს მდივნის **ზინაიდა კვაჭაძის** თავმჯდომარეობით. ახლახან გაიმართა საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელზეც აღინიშნა, რომ მზადდება ტურნირის მხატვრული აფიშები, პროგრამა, შეჯიბრების პერიოდში გამოიცემა სპეციალური საჭადრაკო ბიულეტენი, რომელშიც დაისტამბება ყველა გათამაშებული პარტია. თბილისის სტუმრები მოჭადრაკეები და მათი მწვრთნელები, ჟურნალისტები, რომლებიც საზღვარგარეთიდანაც იქნებიან, სასტუმროებში „ივერიასა" და „საქართველოში" იცხოვრებენ.

შეჯიბრება ჩატარდება ჭადრაკის სასახლეში, რომელიც ბევრჯერ ყოფილა მსოფლიო მნიშვნელობის ტურნირებისა და მატჩების მასპინძელი. სასახლე ამჯერადაც საგანგებოდ ემზადება. მაგალითად, პრესცენტრში გაყვანილი იქნება ტელეფონების დამატებითი ხაზები. გამრავლდება ყოველ ტურში გათამაშებული პარტიები და სხვ.

საზონათშორისო ტურნირში 16 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. მათგან ხუთნი საბჭოთა კავშირიდან არიან — დიდოსტატები ნ. გურიელი, ი. ლევიტინა, ე. ახმილოვსკაია, საერთაშორისო ოსტატები ნ. ტიტორენკო და თ. შინოგინა. ჯერჯერობით უცნობია ორი უცხოელი მონაწილის ვინაობა.

მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობა ასეთია: მთავარი მსაჯია ჩეხოსლოვაკიელი არბიტრი ი. შაიტარი. იგი მსაჯობდა ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძის მატჩს, 1978 წელს, მანამდე კი, 1976 წელს თბილისში გამართულ საზონათშორისო ტურნირს. მისი მოადგილე იქნება საერთაშორისო არბიტრი ო. ოსტაშევსკი (კუიბიშევი), მსაჯები: საერთაშორისო არბიტრები ე. კესელმანი (გორკი), ე. მელიქსეთ-ბეგი და საკავშირო კატეგორიის მსაჯი ლეილა ნაჭყებია (ორივე — თბილისი).

საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა მონაწილეთათვის კულტურული პროგრამა. დასვენების დღეებში მოჭადრაკეები გაემგზავრებიან კახეთსა და მცხეთაში ისტორიული ღირსშესანიშნაობების გასაცნობად. დამტკიცდა აგრეთვე ტურნირის გახსნის ცერემონიალის სცენარი.

საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობდნენ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები — საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი გ. ბედინეიშვილი, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. მეტრეველი, წევრები—საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე ი. გამრეკელი, ჭადრაკის სასახლის დირექტორი ლ. წეროძე, საჭადრაკო მიმომხილველი თ. გიორგაძე და აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციიდან მოწვეული პასუხისმგებელი მუშაკები.

ქ. გოგელაური.

● სსრ კავშირის თასის გათამაშება წყალში ხტომაში

პირველი თასი — ქართველ სპორტსმენს

გუშინ ლენინური კომკავშირის სახელობის თბილისის საწყლოსნო სპორტულ კომპლექსში დაიწყო საკავშირო თასის გათამაშება წყალში ხტომაში. სეზონის ამ ბოლო სტარტზე მონაწილეობს ბევრი პერსპექტიული სპორტსმენი, რომლებიც ცდილობენ მოხვდნენ ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში.

პირველ დღეს ტრამპლინიდან მხტომელებმა იასპარეზეს. 17 მონაწილე ქალთა შორის ოთხი საქართველოს წარმომადგენელი იყო. ძალზე სტაბილურად იასპარეზა თბილისის მე-13 სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ნანა ქარდავამ და თასიც დაისაკუთრა — 277,98 ქულა. მისი ძირითადი კონკურენტი ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ო. კრასიჩკოვა, რომელიც ფინალამდე ლიდერობდა, ერთგვარად მოდუნდა, რაც შედეგსაც დაეტყო — 255,81 ქ. III-IV ადგილებისთვის იბრძოდნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, მოსკოველი ო. ბუროვა და სტავროპოლელი ე. გუსლიანიკოვა. საბოლოოდ საპრიზო ადგილზე სტავროპოლელი სპორტსმენი გავიდა.

საღამოს სარბიელზე ვაჟები გამოვიდნენ. 17 სპორტსმენს შორის 2 საქართველოს წარმომადგენელი იყო.

დღეს გაიმართება შეჯიბრებები კოშკიდან ხტომაში.

ა. ზენაო.

• • •

სურათზე: ნანა ქარდავა ასპარეზობისას.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

იმედს არ კარგავენ

როგორც ცნობილია, საბჭოთა კალათბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის პირველ მატჩში დაამარცხეს კანადელები — 114:83; თავი გამოიჩინა გუნდის თითქმის ყველა მოთამაშემ, პირველ ყოვლისა, ტკაჩენკომ, ლოპატოვმა, ვალტერსმა და მიშკინმა. საიმედოდ მოქმედებდნენ ტარაკანოვი, დერიუგინი, ერიომინი, საბონისი და ხომიჩუსი.

პარასკევს საბჭოთა ნაკრები შეჯიბრებისგან თავისუფალი იყო. დილის ვარჯიშის შემდეგ, მწვრთნელებიც და მოთამაშეებიც გაემგზავრნენ სპორტის სასახლე „გიმნაზიო დელ პუებლოში", სადაც გაიმართა მეტად საინტერესო მატჩი — აშშ-იუგოსლავია.

ორივე ნაკრების ძალა კალათბურთის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი. იუგოსლაველები მსოფლიოსა და მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები არიან, ამერიკელები კი — ამ ტიტულების ტრადიციული პრეტენდენტები. ამ გუნდების პრინციპული მატჩი ამერიკელთა გამარჯვებით დამთავრდა — 88:81 (55:46).

გუშინწინ გაიმართა კიდევ ერთი მატჩი: ავსტრალიელებმა დაამარცხეს კანადის ნაკრები — 94:78.

ბრძოლა—დრომოჭმულს, გზა—ახალს!

მავნე, დრომოჭმული და ანაქრონიზმად ქცეული წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლა, ძველის ახალ ქურაში გატარება და მისი ფართოდ დანერგვა დღევანდელობის ერთ-ერთ ურთულეს და სათუთ სოციალურ პრობლემას წარმოადგენს. შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკაში ჯანსაღი პოლიტიკური კლიმატის შექმნისათვის გატარებულ პირველ ღონისძიებებთან ერთად, 1975 წლის 25 ნოემბერს მიიღო დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ".

ბუნებრივია, ამ ულრესად საჭირო და დროულ დოკუმენტზე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მუშაკებმა საქმით უპასუხეს და მას შემდეგ ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა. მაგრამ ამ მხრივ სპორტული სამყარო მაშინაც და ახლაც ვალში დარჩა ჩვენი პარტიის, მთავრობის, ხალხის წინაშე. მართალია, პრესაში აქა-იქ გაჩნდა სპეციალისტთა სტატიები სათანადო თეორიული რეკომენდაციებით, მთელ რიგ რაიონებში პრაქტიკულადაც გაკეთდა ზოგი რამ, მაგრამ ყოველივე ამას მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. არადა, ზემოთ დასახელებული პრობლემის გადაჭრა ეპიზოდური ღონისძიებებით კი არა, სისტემატური, გააზრებული და გეგმაზომიერი მუშაობითაც ჭირს, რამდენადაც საქმე გვაქვს ისეთ ფენომენთან, რომელიც ძალზე ძნელად ექვემდებარება გარდაქმნა-გადაკეთებას და იოლად არ დაგნებდება. სწორედ ამის შესახებ ამბობდა ვ. ი. ლენინი: „დაწესებულება შეიძლება მარჯვე შემთხვევაში ერთბაშად დაამსხვრიო, ჩვეულებას ვერასოდეს, ვერავითარ მარჯვე შემთხვევაში ერთბაშად ვერ დაამსხვრევ".

ჩვენი სოციოლოგები, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრის ეროვნული ტრადიციების შემსწავლელი ჯგუფი — ასეთ კლასიფიკაციას უკეთებს ისტორიულ ტრადიციებს: 1. როგორც ფორმით, ისე შინაარსით მისაღები ტრადიციები; 2. შინაარსით მისაღები, მაგრამ ფორმით მიუღებელი ტრადიციები; 3. გამოვლენის ფორმით მისაღები, მაგრამ შინაარსით მიუღებელი ტრადიციები; 4. როგორც ფორმით, ისე შინაარსით მიუღებელი ტრადიციები; ეს კლასიფიკაცია თავისთავად მიგვითითებს, რომ ძველი ტრადიციების შესწავლაში ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია სასარგებლო, ახალი ყოფისათვის მისასადაგებელი ტრადიციების გამოყოფა და მათი დანერგვის გზების ძიება. ამ შემთხვევაში დიდ დახმარებას გვიწევს ვ. ი. ლენინის კლასიკური მითითება: „საჭიროა ლამაზი შევინარჩუნოთ, ავიღოთ ის, როგორც ნიმუში, დავეყრდნოთ მას, თუნდ ის „ძველი" იყოს. რატომ უნდა შევაქციოთ ზურგი ჭეშმარიტად მშვენიერს, უარვყოთ ის, როგორც გამოსავალი პუნქტი შემდგომი განვითარებისათვის მხოლოდ იმის საბაბით, რომ ის „ძველია"? რატომ უნდა მოვიხაროთ ქედი ახლის წინაშე, როგორც ღმერთის წინაშე, რომელსაც მხოლოდ იმიტომ უნდა დავემორჩილოთ, რომ „ეს ახალია"!

დიახ, თუ ამ და სხვა მითითებებს ანგარიშში არ გაუწია, სასურველ შედეგს ვერასოდეს მივიღებთ და, სავსებით შესაძლოა, სასაცილო მდგომარეობაშიც აღმოვჩნდეთ. საამისოდ მრავალი ჭკუისსასწავლებელი მაგალითი დაგვიტოვა ისტორიამ: ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა ფიზიკური კულტურის შექმნისათვის გაჩაღებული ლაშქრობის მონაწილეთა შორის გამოჩნდა ერთი საკმაოდ ცნობილი პეტროგრადელი პროფესორი კულჟინსკი, რომელმაც მცდარად გაიგო ახლის შექმნაში ძველის გამოყენების პრინციპი და „გვირჩია", რომ სპორტის რევოლუციამდელი სახეობები, რომელიც ბურჟუაზიის ბატონობის დროს შეიქმნა, უნდა დავგმოთ და შევქმნათ სრულიად ახალი, განსხვავებული სახეობები. თავის წიგნში —„პედაგოგიკა და ფიზიკური კულტურა" იგი განსაკუთრებით უტევს ფეხბურთს, რომელიც თითქოს ბურჟუაზიულ ჩვევებს ზრდის ადამიანებში. ფეხბურთის თამაშის დროს სპორტსმენები ერთმანეთს ბურთს ართმევენ, აჯახებენ, ეს თვისებები კი ბურჟუაზიული წყობის გადმონაშთებიაო. მსგავს უაზრობას ვერც საქართველოში აცდნენ. ზოგიერთი ფსევდოსპეციალისტი გვირჩევდა, დაგვეგმო ტანვარჯიში, როგორც „სოკოლობის", „შვედობისა" და კონტრრევოლუციის გამოხატულება.

სწორედ სპორტული ტრადიციების არასწორად გაგების ნიმუში იყო ერთი მოსკოველი სპორტის ისტორიკოსის ნაშრომი — „შახსეი-ვახსეი — აზერბაიჯანის სპორტის ეროვნული სახეობა"; ავტორმა „შეისწავლა" მაჰმადიანური რელიგიის ეს ერთ-ერთი სიმსივნე, რომელიც ხალხს თვითგვემისაკენ, თვითდამახინჯებისაკენ მოუწოდებდა და მისი ფართოდ გავრცელების რეკომენდაცია შემოგვთავაზა. კიდევ კარგი, აზერბაიჯანელი და ქართველი მეცნიერების დროულად ჩარევის წყალობით სპორტული წიგნების თაროს არ შეემატა ეს „ნაშრომი", რომელიც გამზადებული იყო გამოსაცემად.

ცნობილია, რომ წარსულ ეპოქებში რელიგიამ ხელში ჩაიგდო საზოგადოებრივი ყოფის მრავალი ფუნქცია და იდეოლოგიური წინამძღვრობა იკისრა. გვიანი ფეოდალიზმის დროს ბევრგან რელიგიის დაქვემდებარების ქვეშ აღმოჩნდა სპორტული მოძრაობაც და საეკლესიო დღესასწაულებში ფართოდ ჩართო სპორტული პროგრამა. აქედან გასაგებია, რომ ამ სპორტული ტრადიციების ძიება შეუძლებელია რელიგიური დღესასწაულების შექმნისა და განვითარების ისტორიაში ჩახედვის გარეშე. სპორტული ტრადიციის გაწმენდა რელიგიური ჩენჩოსაგან და მისი თარგის მიზომება-მისადაგება დღევანდელობაზე — აი ძნელი, მაგრამ მთავარი და აუცილებელი ამოცანა.

ის, რაც ტრადიციებს შეავსებს, გაალამაზებს...

● ● ●

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის სპორტული მოძრაობა ზემოხსენებული პრობლემის პრაქტიკულ გადაწყვეტაში უმთავრესად ვალს იხდის იმით, რომ გარკვეულწილად ეხმარება თანამედროვე სახალხო დღესასწაულების ორგანიზატორებს სპორტული პროგრამით დღესასწაულების გამდიდრებაში. ასე გალამაზდა სპორტული სანახაობებით „შოთაობა", „ილიაობა", „ვაჟაობა", „იაკობობა", „თბილისობა", მოსავლის აღების დღესასწაული და სხვა მრავალი.

მაგრამ, ვფიქრობთ, მხოლოდ ამ მასშტაბით საკუთარი ვალის შემოფარგლა მართლაც ვალის მოხდას უფრო ემსგავსება. სხვის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში რამდენიმე სპორტსმენის ან თუნდაც გუნდის გამოსვლების ჩართვა იოლი საქმეა. გაცილებით ძნელია ამა თუ იმ რაიონის, ქალაქის სპორტულ ტრადიციაში ღრმად ჩახედვა, მისი გაწმენდა-განახლება და ისეთი ტრადიციული ღონისძიების ჩატარება, რომელიც დაუპირისპირდება დრომოჭმულ რელიგიურ დღესასწაულებს.

რატომ არ შეიძლება, მაგალითად, ასპინძელებმა და ახალციხელებმა იფიქრონ, აწონ-დაწონონ და რაიონის ახალგაზრდობას აღუდგინონ უძველესი „მესხური თამაშები". ამ თამაშების პროგრამაში, ცხადია, თანამედროვე სახეობებიც დაიკავებს ადგილს, მაგრამ მისი ძირითადი, თუ გნებავთ, რომანტიკული ნაწილი უნდა შეავსოს იმ ვარჯიშებმა, რომლებიც დღეს აღარ არსებობს, მაგრამ თავისი შინაარსით ძალზე ახლოს დგას თანამედროვე სპორტთან. ასეთებია: მრავალადგილიანი ციგებით დაშვება ზაფხულობით მოტრუსულბალახიანი ფერდობიდან, სიმაღლეზე ხტომა (5-6 კაცი თავზე იხურავს ბოხოხს და მათ უნდა გადაახტე ისე, რომ ბოხოხი არ გადმოაგდო) და სხვა. ასე შეიძლება შეიქმნას განახლებული მესხური თამაშები, რომელიც ასპინძისა და ახალციხის რაიონების სპორტულ ტრადიციებს შეავსებს და გაალამაზებს. ასევე თავისი ორიგინალური და საინტერესო სახეობებით გამოირჩევა ახმეტის, ყაზბეგის, მესტიისა და სხვა რაიონები. თუ საქმეს გულთან ახლოს მივიტანთ, ყველგან შეიძლება ამა თუ იმ რეგიონისათვის დამახასიათებელი კომპლექსური თამაშების შექმნა, რომელთა პროგრამა უმთავრესად ძველი, მაგრამ განახლებული და გადამუშავებული ვარჯიშებით იქნება შედგენილი.

უფროს თაობას ალბათ ახსოვს, რომ ადრე ყოველ სოფელს ან მხარეს თავისი რელიგიური დღესასწაული გააჩნდა, საქართველოს შორეულ რაიონებშიც იცოდნენ მათი არსებობა და სტუმრიანობაც დიდი ჰქონდათ. ანალოგიურად, ჩვენს მიერ დანერგილ სპორტულ ტრადიციებსაც ისეთი ცხოველმყოფელი ძალა უნდა ჩავუდგათ, რომ მათ სანახავად, ანდა მონაწილეობის მისაღებად შორეული რაიონებიდანაც კი მოიჩქაროდნენ. ეს კი მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ ამ ღონისძიებებს მიეცემათ სისტემატური, გეგმაზომიერი ხასიათი.

კომპანიურობა საქმეს ვნებს. სწორედ ამ მიზეზით დავიწყებას მიეცა არა ერთი და ორი შესანიშნავი ტრადიციული ღონისძიება. განა დასანანი არ არის, რომ წლების მანძილზე მასშტაბურ ღონისძიებად ქცეული ამიერკავკასიის ხალხთა სპარტაკიადები, რომლის ჩატარება სამამულო ომის მძიმე წლებშიც არ შეწყვეტილა, 60-იანი წლების შემდეგ დავიწყებას მიეცა. მიივიწყეს ღონისძიება, რომელიც აგრერიგად უწყობდა ხელს ამიერკავკასიის ერების ძმობასა და მეგობრობას. ვფიქრობთ, სამივე რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელთა ერთობლივი ინიციატივით ეს ხარვეზი გამოსწორდება.

● ● ●

ახალი სპორტული ტრადიციების, სპორტული დღესასწაულების აღდგენა-დანერგვასთან ერთად, ალბათ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სპორტი გამოვიყენოთ ისეთი მავნე გადმონაშთებისა და პროვინციალიზმის უკუსაგდებად, როგორიცაა ზომადაკარგული ქორწილები, ქელეხები, დღეობები და ა. შ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველივე ამის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცადი მეთოდია მოსახლეობაში სპორტის ფართოდ დანერგვა, მისი მასობრიობა, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის შევსება. ისიც ჭეშმარიტებაა, რომ სპორტულ ოჯახში, როგორი სტუმართმოყვარეც არ უნდა იყოს იგი, სასმელი არასოდეს [illegible], სპორტსმენი ახალგაზრდა კი ადვილად არ გაებმება ნარკომანებისა და ლოთების მახეში.

ეს ყველაფერი თავისთავად მოქმედებს ზემოხსენებულ მავნე ჩვეულებებზე, მაგრამ ეს მაინც საქმის ზოგადი მხარეა. ჩვენ ხშირად გავურბივართ საქმეში ღრმად წვდომას და კონკრეტული წინადადებების ხორცშესხმას. საინტერესოა, მაგალითად, ყაზბეგისა და დუშეთის რაიონის მესვეურებმა იფიქრეს თუ არა ერთი ტრადიციის აღდგენაზე? ხევსურულ დოლს ვგულისხმობ, რომელიც უმთავრესად გარდაცვლილის დაკრძალვის ცერემონიალის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი იყო. ეს სანახაობა თავისთავად ამცირებდა იმ დროს, რაც ქელეხს უნდა მოხმარებოდა. ვფიქრობთ, მთაში ბევრია შეგნებული ჭირისუფალი, რომელიც საყვარელი ადამიანის მოსაგონებლად გამართულ დოლს უფრო დააფასებს და გულთან მიიტანს, ვიდრე წრეგადასულ ქელეხს. ხევსურული დოლი აქაიქ ახლაც იმართება, მაგრამ, ძალზე იშვიათი გამონაკლისის გარდა, მას დაკრძალვასთან არავითარი კავშირი აღარ აქვს. იქნებ ღირდეს ამ ჩვეულების აღდგენა მთაში? ვიცი, ეს ძალზე ძნელი საქმეა, მაგრამ მაინც ვეცადოთ, მოვსინჯოთ....

კიდევ ერთი რამ. საკითხი, რომლის შესახებაც დღეს ვსაუბრობთ, იმდენად მნიშვნელოვან საქმედაა მიჩნეული, რომ უკვე შეიქმნა მისი მარეგულირებელი და ხელმძღვანელი ოფიციალური ორგანოები: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და მშრომელთა ყოფაცხოვრებაში მათი დანერგვის რესპუბლიკური კომისია; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სოციალურ-კულტურული ტრადიციების სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრი; მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან არსებული საწესჩვეულებო მომსახურების სამმართველო. მაგრამ, ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ სპორტის უდიდეს როლსა და მნიშვნელობას მავნე წეს-ჩვეულებებთან ბრძოლის საქმეში, საჭიროდ მიგვაჩნია რაღაც ანალოგიური საზოგადოებრივი ორგანოს ან კომისიის შექმნა რესპუბლიკის სპორტკომიტეტთან. არც ის იქნება ურიგო, თუ ამ საქმის მომავალი მესვეურები გამოცდილების გასაზიარებლად იწვევიან ბალტიისპირეთს, სადაც ამ მხრივ საკმაო წარმატებები აქვთ.

მინდა ეს წერილი დიდი ილიას გაზეთის — „დროების" — ერთი ბევრისმთქმელი შეგონებით დავამთავრო: „დავუბრუნდეთ ჩვენს სიმღერებს, — წერდა იგი ამ ასიოდე წლის წინ, — ჩვენს ტანისამოსს, ჩვენს კარგ ჩვეულებათ, ჩვენს ვარჯიშობას, ჩვენებურს დროს გატარებას! ნუ დავივიწყებთ ჩვენს ხასიათს და ვეცადნეთ იმათ შევათანხმოთ, დავუნათესავოთ ევროპული განათლება და ამ გვარი ჩვენი მოქმედება, მეცადინეობა გააძლიერებს ჩვენს წინმსვლელობას, ზნეობით აღგვამაღლებს!".

ა. ციბაძე,

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მართვისა და ისტორიის კათედრის პროფესორი, საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი.

●

რედაქციისაგან: პრობლემა, რომელსაც ა. ციბაძის წერილი ეხება, მართლაც სადღეისოა და აქტუალური. რედაქცია თხოვს მკითხველს, განსაკუთრებით რაიონში მოღვაწე ფიზკულტურულ მუშაკებს, პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებანი, რომლებსაც სიამოვნებით დავუთმობთ ადგილს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

თქვენი აზრი?

სსრკ 60

ისინი სპორტმა დაამეგობრა

წილად მხვდა ბედნიერება...

სპორტის დამსახურებულ ოსტატს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს გავრილ კაჩალინს „ლოკომოტივის" სტადიონზე შევხვდით — თბილისში იგი „ტყავის ბურთის" ფინალურ ტურნირზეა ჩამოსული როგორც ნორჩ ფეხბურთელთა ამ პოპულარული კლუბის თავმჯდომარის მოადგილე...

● ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრები ყოველთვის პატივს გცემდნენ თქვენ, ყოველთვის სიყვარულით იხსენიებენ მწვრთნელს, რომელმაც პირველმა მოუტანა ჩვენი გუნდი ჩემპიონის ოქროს მედლებამდე... ვიცით, რომ ქართულ ფეხბურთთან, ქართველ ფეხბურთელებთან დიდი ხნის მეგობრობა გაკავშირებთ....

— თბილისში, რომელიც ჩემი საყვარელი ქალაქია, პირველად 1935 წელს ჩამოვედი მოსკოვის „დინამოს" შემადგენლობაში, დინამოელებს ვეთამაშეთ ახალ სტადიონზე. ვინ მოთვლის, მას შემდეგ რამდენჯერ შევხვედრივარ თბილისელებს ფეხბურთის მწვანე მინდორზეც, მეგობრულ ვითარებაშიც. მუდამ მომწონდა თქვენი ფეხბურთელების ოსტატობა, თამაშის სტილი, უჩვეულო მანერა. თბილისელთა კოლექტიური თამაში შეზავებული იყო მაღალტექნიკურ ინდივიდუალურ მოქმედებასთან. დავასახელებ ბორის პაიჭაძეს, გაიოზ ჯეჯელავას, მიხეილ ბერძენიშვილს, გრიგოლ გაგუას, თენგიზ გავაშელს და მრავალ, მრავალ სხვას. სწორედ იმ ხანებში შეარქვეს თბილისელ ფეხბურთელებს „დიდი ურუგვაელები". როდესაც 1937 წელს მოსკოვის „დინამომ" წააგო ბასკების ლეგენდარულ გუნდთან, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ დედაქალაქის გაძლიერებულ „დინამოში" რევანშისათვის აუცილებელი იყო ქართველ ფეხბურთელთა მოწვევაც: არჩევანი დოროხოვსა და მაჩაბლიძეზე შეჩერდა.

● დიდ ნაკრებში მუდამ გყავდათ ქართველი ფეხბურთელები...

— 1959 წელს ქვეყნის მთავარ გუნდში თბილისის „დინამოდან" მოვიწვიეთ სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი და მიხეილ მესხი. შემდგომში ჩვენმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, გუნდის შემადგენლობაში ქართველი ფეხბურთელებიც იყვნენ.

● ოთხი წლის შემდეგ თბილისის „დინამომ" ტაშკენტიდან ოქროს მედლები ჩამოიტანა...

— როგორც იცით, თბილისის „დინამოში" შესანიშნავი სპეციალისტი მიხეილ იაკუშინი [illegible]. ორივენი შემტევი, მაღალტექნიკური, ლამაზი ფეხბურთის მომხრენი ვართ. ბიჭებთან მალე მოვნახე საერთო ენა, დავმეგობრდით და თამაშიც აეწყო. მოხარული ვარ, რომ სწორედ მე მხვდა წილად ბედნიერება ვყოფილიყავი თბილისის „დინამოს" პირველ ჩემპიონთა მწვრთნელი.

● ქართული ფეხბურთის დადებითი მხარეები თქვენ უკვე აღნიშნეთ. იქნებ ისიც გვითხრათ, რა მიგაჩნიათ მის ნაკლად?

— უწინ თბილისელები ხარკს უხდიდნენ ინდივიდუალურ თამაშს, მერე კი კომბინაციური თამაშის გემოც გაიგეს — აქ უფრო იოლია ტაქტიკური ამოცანების გადაწყვეტა. ცხადია, აქ არ ვგულისხმობ ქართველ ფეხბურთელთა თამაშის თვითმყოფადი სტილის შეცვლას. თბილისის „დინამოს" მწვრთნელებს მუდამ გვაწუხებდა ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადების დონე, რეჟიმისა და დისციპლინის საკითხები. სამხრეთული ტემპერამენტი და ზოგიერთი მოთამაშის ხასიათი ხშირად ხელს უშლიდა თამაშის ორგანიზებულობას. კარგად ვიცოდით, რომ როგორც კი ეს საკითხი მოგვარდებოდა, თბილისელები მოუმატებდნენ თამაშს. საბედნიეროდ, თქვენი გუნდის ბიოგრაფიაში ნათელი დღეები გაცილებით უფრო მეტია. ამიტომ არის, რომ საკავშირო ჩემპიონატებსა და თასის გათამაშებებში თბილისის „დინამო" მუდამ გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იყო. ამიტომაა, რომ ქართველმა ფეხბურთელებმა იმთავითვე მიიპყრეს სპეციალისტთა ყურადღება და აღიარება, განსაკუთრებით — თავდამსხმელებმა. ნაკრებში თქვენგან საუკეთესო მცველებიც მოვიდნენ — გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, მაგრამ, მათაც „ცალი თვალი" სულ შეტევაზე ეჭირათ — განსაკუთრებით ხურცილავას, ახლა კი — ჩივაძეს. ისინი არა მარტო იწყებდნენ შეტევას, არამედ აგვირგვინებდნენ კიდეც.

● ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონატის შესახებაც გვინდა გავიზიაროთ თქვენი აზრი.

— აქ ყველაფერი თავდაყირა დაიწყო: მან, ვისაც აუტსაიდერად ვთვლიდით, ყველასთვის მოულოდნელად, მაღალი კლასის თამაში აჩვენა. ნამდვილად სენსაციური იყო ალჟირელთა გამარჯვება მსოფლიოს ექს-ჩემპიონთან გფრ-ის ნაკრებთან, ჰონდურასის გუნდმა ფრედ ითამაშა ესპანელებთან და მხოლოდ ბურთების უარესმა სხვაობამ არ მისცა საშუალება ჰონდურასელებს გაეგრძელებინათ ბრძოლა. ყოველივე ეს კი თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ამ ჩემპიონატის ფორმულაშიც იყო ნაკლოვანებები. ჩემპიონატის კიდევ ერთ სენსაციას წარმოადგენდა იტალიელთა გამარჯვებები ბრაზილიისა და არგენტინის გუნდებთან, მაგრამ შემდგომმა მატჩებმა გვაჩვენა, რომ იტალიის ნაკრების სახით მსოფლიოს ღირსეული ჩემპიონი ჰყავს.

იტალიელ ფეხბურთელებს ახასიათებდათ საუკეთესო ფიზიკური მომზადება, ე. წ. სიჩქარეებზე აგებული ტექნიკა, გააზრებული კომბინაციური თამაში, სიმწვავე, მონდომება, დიდი ნებისყოფა, შემართება. ახალ ჩემპიონს შემადგენლობაში საუცხოო ფეხბურთელები ჰყავდა: 41 წლის მეკარე ძოფი, რომელიც ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ აღიარეს, ანტონიონი და, ცხადია, როსი — ტურინის საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი. ქებას იმსახურებს მათი მწვრთნელი ენცო ბეარზოტი — მან შექმნა მშვენიერი საფეხბურთო ანსამბლი, რომელმაც სპორტული ფორმის მწვერვალს სწორედ ესპანეთის სტადიონებზე მიაღწია. ყოფილი ჩემპიონის — არგენტინის ნაკრების წარუმატებლობა აიხსნება მისი ლიდერის მარადონას სუსტი თამაშით. ცხადია, ამას ერთგვარი გამართლება აქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ამ უდავოდ ნიჭიერ ფეხბურთელს ძალზე მჭიდროდ, მე ვიტყოდი, ზოგჯერ ზომაზე მეტად მჭიდროდ მეურვეობდნენ და ყოველნაირად უშლიდნენ ხელს.

● ბრაზილიელებზე რას გვეტყვით?

— ეს გუნდი დღესდღეობითაც უძლიერესად მიმაჩნია მსოფლიოში, მაგრამ ბრაზილიელებს ცუდი სამსახური გაუწია ზედმეტმა თვითდაჯერებულობამ. პირველ რიგში, ეს მათ მწვრთნელს ტელე სანტანას ეხება. მან პირდაპირ განაცხადა, რომ ახლანდელი ნაკრები საუკეთესოა მის ნებისმიერ წინამორბედთა შორის. მართლაც, ბრაზილიის გუნდის შემადგენლობაში ბევრი გამოჩენილი ვარსკვლავი იყო — ზიკო, ედერი, სოკრატესი, ფალკაო, ჟუნიორი და სხვანი, მაგრამ აშკარად სუსტად ითამაშა მეკარე პერესმა. არც დაცვა ვარგოდა. ბრაზილიელები მეორე ტაიმს უკეთ ატარებდნენ, ვიდრე პირველს. მათ თითქმის ყველა მატჩში გაუშვეს პირველი გოლი და მერე ცდილობდნენ წონასწორობის აღდგენას და შემდეგ წინ გასვლას, თუმცა ყოველთვის როდი ითვალისწინებდნენ დროის ფაქტორს.

არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა საფრანგეთის ნაკრებზეც, რომელმაც საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

● და ბოლოს, ერთ-ერთი მთავარი საკითხი — მსოფლიოს ჩემპიონატზე სსრ კავშირის ნაკრების თამაშის თქვენი შეფასება.

— შარშან მართლაც კარგი ნაკრები გვყავდა, შემადგენლობაც სტაბილური იყო და თამაშიც. მისი შედეგები ოპტიმისტურ განწყობილებას გვიქმნიდა, ყველას გვჯეროდა, რომ საბჭოთა ნაკრები ამჯერად ითამაშებდა უკეთ, ვიდრე წინა ჩემპიონატებში. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ გუნდის მომზადებისას საკმაოდ უხეში შეცდომები იქნა დაშვებული. გუნდის მართვა დაევალა ერთდროულად 5 მწვრთნელს, რომელთა კონცეფციები გუნდის მომზადებასა და თამაშის ორგანიზაციაზე სხვადასხვაგვარი იყო. მეორე შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატისათვის ემზადებოდა ნაჩქარევად, ფორსირებულად. მას ფაქტიურად არ ჰქონდა მოსამზადებელი პერიოდი. თვითონ განსაჯეთ: ნაკრებმა იგი... ესპანეთში გამართული საერთაშორისო შეხვედრებით დაიწყო. აქედან ცხადია, რომ ჩვენი მოთამაშეთა სპორტული ფორმა არ შეიძლებოდა მყარი ყოფილიყო. მწვრთნელებმა ვერ შეძლეს ფეხბურთელთა მომზადების დონის მწვერვალამდე მიყვანა ჩემპიონატისათვის, ცალკეულ მოთამაშეებს ტრავმები ჰქონდათ, ჩემპიონატის დასაწყისისთვის ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადება თვითონ ნაკრების მწვრთნელთა შორისაც კი ეჭვს იწვევდა. ესპანეთში ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდი სულ ერთი დღით ადრე ჩავიდა და აკლიმატიზაცია თვით შეჯიბრების დროს მიმდინარეობდა. დაუმატეთ ამას ისიც, რომ ნაკრების წევრთა უმეტესობას მსოფლიოს ჩემპიონატის წინ უკვე ჰქონდა ჩატარებული 30-მდე თამაში (სსრ კავშირის ჩემპიონატში და თასზე, საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებში და ა. შ.), ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ ფეხბურთელთა სანებისყოფო თვისებები დაქვეითდა, რაზეც თვალნათლივ მეტყველებს მატჩი პოლონელებთან. ის, რომ ჩვენი გუნდი მსოფლიოს 12 საუკეთესო გუნდს შორის გავიდა, თითქოს ურიგო შედეგი არაა, მაგრამ აზრად არავის მოუვა მისი თამაში ხეირიანად მიიჩნიოს. ეს განსაკუთრებით ეხება შეტევას: ჩვენმა გუნდმა 7 ბურთი გაიტანა, აქედან 2, გულახდილად ვთქვათ, მეტოქეებმა „გვაჩუქეს". ამაში პირველ რიგში ბრალი მიუძღვის ჩვენს თავდამსხმელებს, რამდენადმე ნახევარმცველებს...

● რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად ნაკრებში, და საერთოდ, საბჭოთა ფეხბურთში?

— აშკარაა, რომ ჩვენი ფეხბურთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არასწორი გზით მიდიოდა. ნაკრებმაც და სხვა გუნდებმაც უნდა შეიგნონ ძველი ჭეშმარიტება: ფეხბურთი, პირველ ყოვლისა შეტევაა — აქცენტი თავიდანვე იერიშზე უნდა ავიღოთ, შემტევ, შემოქმედებით ფეხბურთზე. ძირფესვიანად გარდავქმნათ მუშაობა ბავშვთა ფეხბურთში, უფრო მეტად ვენდოთ ახალგაზრდებს — ჩვენ ხომ კარგი ჭაბუკი ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ სად იკარგებიან ისინი, სად ქრებიან უკვალოდ ჩვენი ტალანტები? გავახილოთ თვალი: ახალგაზრდა მოთამაშეებთან არ ვმუშაობთ წესიერად და ამიტომ ვკარგავთ მათ გზად დიდი ფეხბურთისაკენ. სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი მწვრთნელების მომზადებას ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთისათვის, რისთვისაც ფიზკულტურის ინსტიტუტები უნდა გამოვიყენოთ; საჭიროა დაკვირვებულად, შემოქმედებითად გადავხედოთ სასწავლო-საწვრთნელ პროგრამებს, სხვადასხვა შეჯიბრებათა კალენდარს (რათა ისე არ გამოგვივიდეს, რომ ერთ ფეხბურთელს სეზონის განმავლობაში 70 თამაში ჰქონდეს ჩატარებული, მეორეს კი მხოლოდ 18); მკვეთრად უნდა შევამციროთ გუნდების რაოდენობა ჩემპიონატის მეორე ლიგაშიც, ამასთან დაკვირვებით ვადევნოთ თვალი ყოველ მატჩს, ყოველ ფეხბურთელს; ნამდვილად ეფექტური გავხადოთ სელექცია; შევქმნათ საჭირო რაოდენობის მაღალხარისხიანი საფეხბურთო ინვენტარი, შესაფერისი ბაზები. აი, ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ დიდ საბჭოთა ფეხბურთზე, რომელიც ნამდვილად ჩვენი სიყვარულის ღირსია.

სტუმარს ესაუბრა
ო. ნოზაძე.

* * *

всесоюзного турнира

სურათზე: გ. კაჩალინი (მარცხნიდან მეორე) გ. დიმიტროვის სახელობის ქარხნის სტადიონზე გულშემატკივართა შორის.

ბ. კეკელიძის ფოტო.

● ფეხბურთი

იტალიის ქალაქებში

იტალიის საკლუბო გუნდებთან 2 ამხანაგური საერთაშორისო მატჩის ჩასატარებლად ამ ქვეყანაში იმყოფება კიევის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც გაძლიერებულია სხვა კლუბების მოთამაშეებით (ი. სუსლოპაროვი, ს. ბოროვსკი, ხ. ოჰანესიანი, ს. ანდრეევი და ს. როდიონოვი). გუნდის ხელმძღვანელია ვ. ლობანოვსკი.

სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა იტალიის ქალაქებში ანკონასა და ფანოში დაგეგმილი ორი შეხვედრიდან პირველი ჩაატარა „ფანოსთან" და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0. ბურთები გაიტანეს დემიანენკომ, ოჰანესიანმა და ბლოხინმა.

I ლიგა

გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 28-ე ტურის კალენდარული მატჩები.

„გურია" (ლანჩხუთი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 1:0 (1:0)

ლანჩხუთი. „კოლხეთის" სტადიონი. 20 აგვისტო.

„გურია": აბუსერიძე, რუხაძე, გოგოხია, სანიკიძე, სომხიშვილი, ებანოიძე, კოპალეიშვილი, ცხოვრებაშვილი, ჩხაიძე, ჩელებაძე, ციპლე.

„ნისტრუ": კუროჩკინი, ტიგლეცოვი, კარასი, რიბაკი, შჩერბეი, ი. დუბროვინი, ხლოპოტნოვი, მოხორა, ზელენკინი, დუბროვინი, პროცენკო.

მსაჯი ვ. ოვსიანიკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 4:3.

ინტერესი მატჩისადმი ძალზე დიდი იყო, ლანჩხუთის სტადიონი ვერ იტევდა მაყურებელს. ეს გასაგებიცაა: „ნისტრუ" ამ ტურისთვის სათავეში ედგა გათამაშების ცხრილს და ამდენად, ლიგაში გამარჯვების პრეტენზიაც აქვს, ლანჩხუთელი ფეხბურთელები კი ბოლო დროს წარმატებით თამაშობენ, ამიტომ მოსალოდნელი იყო უშეღავათო ბრძოლა.

მატჩის დასაწყისი ორმხრივი იერიშებით მიმდინარეობდა, შემდგომში თანდათან გამოიკვეთა „გურიის" ნახევარმცველთა უპირატესობა შუა მინდორზე, თამაშმა თანდათან სტუმრების მხარეს გადაინაცვლა, რასაც მე-10 წუთზე შედეგიც მოჰყვა: ჩელებაძემ კარგად გაიყვანა გარღვევაზე ებანოიძე, მან გვერდი აუარა რამდენიმე მცველს და ზუსტად დაარტყა კარში — 1:0.

შუა ტაიმიდან თამაში გათანაბრდა, თუმცა სახიფათო მომენტები „ნისტრუს" კართან უფრო ხშირად იქმნებოდა.

შეუპოვარი ბრძოლა გაგრძელდა შესვენების შემდეგაც, კიშინიოველები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ცვლილების შეტანა ანგარიშში ვერ შეძლეს. ლანჩხუთის „გურიამ" ბოლომდე ენერგიულად, მონდომებით ითამაშა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა გათამაშების ლიდერთან. ქების ღირსია მთელი გუნდი, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეკარე აბუსერიძის მაღალი ოსტატობა.

ა. ორმოცაძე.
(ტელეფონით, „ლელოს" კორ.).

სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „შინიკი" (იაროსლავლი) — „სპარტაკი" (კოსტრომა) 3:1, „დინამო" (კიროვი) — „ისკრა" (სმოლენსკი) 2:0, ასკ (დონის როსტოვი) — ასკ-„კარპატი" (ლვოვი) 1:1, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 2:0, „დაუგავა" (რიგა) — ასკ (ხაბაროვსკი) 1:0, „ზვეზდა" (ჯიზაკი) ასკ (კიევი) 3:1, „პამირი" (დუშანბე) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) 0:2, „კოლოსი" (ნიკოპოლი) — ასკ (ოდესა) 2:0, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 1:0, „ფაკელი" (ვორონეჟი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლოსი"	26	14	7	5	39—18	35
„ჟალგირ."	27	14	7	6	39—19	35
„ნისტრუ"	26	14	6	6	41—24	34
„ფაკელი"	26	13	8	5	35—20	34
„ლოკომ."	27	12	9	6	37—23	33
„პამირი"	26	12	7	7	35—29	31
„დაუგავა"	27	10	9	8	33—30	29
ასკ-„კარპ."	27	10	8	9	26—26	28
„მეტალ."	26	11	5	10	28—19	27
„ზარია"	27	11	5	11	41—34	27
„შინიკი"	27	10	7	10	34—40	27
„გურია"	27	12	2	13	31—37	26
ასკ რ.	27	10	6	11	41—36	26
„ისკრა"	26	8	10	8	28—33	26
„დინამო"	27	9	7	11	24—36	25
ასკ ოდ.	27	8	8	11	27—28	24
„ტავრია"	27	10	3	14	36—35	23
„ზვეზდა"	27	9	5	13	34—51	23
„როტორი"	26	7	9	10	35—38	23
ასკ ხ.	27	7	7	13	15—33	21
ასკ კ.	27	4	8	15	21—43	16
„სპარტ."	26	3	7	16	11—39	13

საქართველოს პირველობა

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„გარისი" (თეთრი წყარო) — „განთიადი" (კასპი) 5:0, „ზარზმა" (ადიგენი) — „გარისი" (თეთრი წყარო) 4:1, „ვარძია" (ასპინძა)—„თრიალეთი" (წალკა) 3:1, „განთიადი" (კასპი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 0:3, „ენერგეტიკოსი" (ჟინვალი) — „ქიზიყი" (წნორი) 4:2, „მეშაქრე" (ქარელი) — „სვიაზისტი" (თბილისი) 2:2, „თრიალეთი" (წალკა) — „მეშაქრე" (ქარელი) 3:1.

გააფრთხილეს ახმეტის „ბახტრიონის" ფეხბურთელები მ. ალბუთაშვილი და მ. მამაგულაშვილი.

დასავლეთი ზონა

„ნარუჯა" (მახარაძე) —— „კოლმეურნე" (გულრიფში) 4:3, „შრ. რეზერვები" (წულუკიძე) — „ოჯალეში" (ბანძა) 2:2, „ავტომობილისტი" (ბათუმი) — „ბზიფი" (გუდაუთა) 5:2, „ბზიფი" (გუდაუთა) — „ნარუჯა" (მახარაძე) 2:0, „კოლმეურნე" (გულრიფში) —„ავტომობილისტი" (მაიაკოვსკი) 2:1, „ოჯალეში" (ბანძა) — „იმერეთი" (ქუთაისი) 3:0, „კოლხიდმშენი" (ფოთი) — „შრ. რეზერვები" (წულუკიძე), 13:0, „ავტომობილისტი" (აბაშა) — „ხვამლი" (ცაგერი) 7:1, „დინამო" (გაგრა) — „გეოლოგი" (სოხუმი) 3:1, „ავიატორი" (სოხუმი) — „რაჭა" (ამბროლაური) 3:0, „მეხალიჩე" (ცხაკაია) — „ავტომობილისტი" (ბათუმი) 3:1.

მინდვრიდან გააძევეს ამბროლაურელი გ. მაისაშვილი.

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

მდგომარეობა 21 აგვისტოსთვის

„მეტ." ზ.	22	18	1	3	59—22	37
„ავტომ."	21	14	4	3	31—14	32
„ავაწ."	22	12	5	5	56—19	29
„მეტ." რ.	22	11	7	4	47—22	29
„ქართლი"	22	11	6	5	48—36	28
„მადნ."	22	10	6	6	38—30	26
„სპარ." თბ.	22	9	7	6	30—28	25
„ივერია"	22	8	6	8	39—45	22
„ფიზ. ინს"	22	8	5	9	36—36	21
„ალაზანი"	22	8	5	9	29—29	21
„კახეთი"	22	9	3	10	28—40	21
ასკ თბ.	21	7	6	8	30—29	20
„დურუჯი"	22	8	3	11	31—48	19
„ჰერეთი"	22	8	2	12	41—49	18
„თორი"	22	6	6	10	29—43	18
„სპარ." ცხ.	22	6	5	11	34—38	17
პოლ. ინს.	22	5	7	10	20—30	17
„აბული"	22	3	7	12	22—54	13
„ალგეთი"	20	5	2	13	35—53	12
„არმაზი"	20	3	3	14	17—35	9

დასავლეთი ზონა

„მერცხ."	21	15	4	2	48—16	34
„ამირანი"	22	12	6	4	43—24	30
„სულ."	22	10	7	5	34—19	27
„დინამო"	23	11	4	8	43—33	26
„სამეგ."	22	9	7	6	39—35	25
„მალარ."	22	9	7	6	25—21	25
„კოლხ."	22	9	5	8	39—33	23
სალხინო"	22	8	7	7	37—43	23
„შუქურა"	22	9	4	9	32—31	22
„ეგრისი"	22	8	6	8	28—34	22
„მზეური"	23	8	5	10	29—31	21
„სქური"	22	7	6	9	30—34	20
„ჩიხურა"	22	5	10	7	20—29	20
„ენერგ."	22	7	5	10	30—33	19
„გიგანტი"	22	4	11	7	19—26	19
„იმერ."	22	6	6	10	36—40	18
„სამგურ."	22	5	8	9	28—37	18
„შახტ."	22	6	5	11	22—37	17
„მექალ."	21	6	4	11	22—41	16
„ბახმარო"	22	6	3	13	25—32	15

● ფეხბურთი

ენერგიული ტორე

მძაფრი ტემპი შესთავაზა ლიდერებს ფილიპინელმა ე. ტორემ, რომელმაც ტოლუკას (მექსიკა) საზონათშორისო ტურნირის VIII ტურში ზედიზედ მესამე პარტია მოიგო, ამჯერად კ. ჰულაკს დააყირევინა ფარ-ხმალი. ფილიპინელ დიდოსტატს მხარი აუბა ლ. პორტიშმა. მან ზედიზედ ორი გამარჯვება იზეიმა, საანგარიშო ტურის შეხვედრაც ხ. რუბინეტისთან მისი უპირატესობით მიმდინარეობდა და გაიმარჯვა კიდეც.

ბ. სპასკიმ დაამარცხა ა. ჩუათელი. დაზავდნენ ა. ადორიანი — ჯ. ნანი, ა. იუსუპოვი — ი. სეირავანი და ა. ბალაშოვი—ა. როდრიგესი.

VII ტურიდან გადადებულ პარტიებში პორტიშმა მოუგო ნანს, დაზავდნენ ივანოვ-ადორიანი.

8 ტურის შემდეგ ლიდერობენ ლ. პორტიში (უნგრეთი) — 5,5 ქულა, ბ. სპასკი, ე. ტორე, ი. სეირავანი (აშშ) — 5-5 ქულა, ი. ივანოვი (კანადა) — 4,5 (1), ი. ბალაშოვი, ა. ადორიანი (უნგრეთი), ჯ. ნანი (ინგლისი) — 4,5-4,5.

● ჭადრაკი

ნორჩ სპარტაკელთა ჩემპიონატი

ბევრი გულშემატკივარი ჰყავდა 10 წლის ს. ტერელაძეს „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე გოგონათა ჩემპიონატში. სამტრედიის საჭადრაკო კლუბი, სადაც 14 ნორჩი მოჭადრაკე პაექრობდა, მუდამ სავსე იყო მაყურებლებით.

მძაფრ ბრძოლაში თავისი გაიტანეს გამოცდილებამ და ასაკმა. ჩემპიონის სახელი არავის დაუთმო მონაწილეთა შორის ერთადერთმა ოსტატობის კანდიდატმა ო. ლომაკინამ (ბორისოვო) — 11 ქულა. II ადგილი წილად ხვდა 14 წლის კ. ლეუშკინას (ლენინგრადი) — 9,5.

III ადგილის რეალური პრეტენდენტები იყვნენ ნორჩი სამტრედიელი პირველთანრიგოსანი და გამოცდილი ტ. სუხონენკო (დუშანბე). ორივე დიდი მონდომებით იბრძოდა. ნორჩ ტერელაძეს ბოლომდე არ ეყო ძალ-ღონე. ბოლო ტურში ყაიმს დასჯერდა და ნახევარი ქულით ჩამორჩა მეტოქეს. მისმა კონკურენტმა 9 ქულა დააგროვა.

ნორჩ სამტრედიელ მოჭადრაკეს უთუოდ კარგი მომავალი აქვს. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ჩემპიონატის შემდეგ გამართულ ელვისებური თამაშის ტურნირში მან ადვილად სძლია მეტოქეებს და I ადგილი დაიკავა.

სამტრედიის მეორე წარმომადგენელმა, პირველთანრიგოსანმა ზ. ხვედელიძემ კარგად ვერ ითამაშა, თუმცა მხოლოდ მან შეძლო ჩემპიონის დამარცხება.

ტურნირი ჩინებულად იყო ორგანიზებული.

ა. კრუტიანსკი (ლენინგრადი), ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, სპორტის ოსტატი.

* * *

სურათზე: ს. ტერელაძისა (მარჯვნივ) და კ. ლეუშკინას (ლენინგრადი) შეხვედრა.

რ. ბექაიას ფოტო.



სპორტული სიმწიფის კარიბჭესთან

ჩემპიონიც არის და ჩემპიონიც

მე არ მინახავს ზაურ ივანაშვილის ჭიდაობა ამერიკაში, მაგრამ კარგად მახსოვს მისი შარშანდელი გამოსვლა კაუნასში, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე. მახსოვს როგორ აიტაცეს ხელში თანაგუნდელებმა, მწვრთნელებმა, გულშემატკივრებმა. მხოლოდ ერთი კაცი იდგა განზე და თავის „რიგს“ უცდიდა. შოთა ივანაშვილი იყო ის კაცი, თბილისის მესამე ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლი, ჩემპიონის მამა. ზაურს ოქროს მედალს რომ გადასცემდნენ, ლევან თედიაშვილმა მითხრა: „მაგარი ბიჭია, მაგარი — დიდი მოჭიდავე დადგება“. თედიაშვილს, რა თქმა უნდა, დაიჯერებ: დიდი სპორტსმენი ჰაიჰარად არაფერს იტყვის.

თექვსმეტ-თვრამეტი წლის ბიჭებს ჩვენთან მამლაყინწებს არ ეძახიან. ამერიკაში კი ამ ასაკის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატს (ხუმრობით, რა თქმა უნდა) „მამლაყინწების შეჯიბრება“ დაარქვეს. „მამლაყინწები“, აგერ უკვე მერამდენე წელიწადია, აგვისტოს პირველ რიცხვებში კოლორადო-სპრინგსში იკრიბებიან. თერთმეტწლიანი შესვენების შემდეგ საბჭოთა მოჭიდავეები კვლავ გაემგზავრნენ ოკეანის გაღმა. გაემგზავრნენ და საჭიდაო სამყაროს დაუმტკიცეს, რომ ბადალი არა ჰყავთ პლანეტაზე. კლასიკური ჭიდაობა — რვა ჩემპიონი და ორი პრიზიორი; თავისუფალი ჭიდაობა — შვიდი ჩემპიონი და სამი პრიზიორი. ოციდან ოცი მედალი!

მსოფლიოს ჩემპიონატზე, რა კატეგორიისაც არ უნდა იყოს იგი, ასეთი რამ იშვიათად ხდება.

ზაურ ივანაშვილი ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც შინ „ოქრო“ წამოიღო. ჩემპიონებისთვის განკუთვნილი მედლები სტანდარტულია, თორემ ქართველ ფალავანს ნამდვილად ეკუთვნოდა განსაკუთრებული ჯილდო. ეს ჯილდო მან მაინც მიიღო — ჭიდაობის ქომაგებისგან, ყოველი ორთაბრძოლის შემდეგ ტაშით რომ აცილებდნენ ჩვენს მოჭიდავეებს. ათ წუთზე ცოტა მეტი დასჭირდა ივანაშვილს ოთხი მეტოქის დასამარცხებლად და ისე გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ქულაც არ დაუთმია.

ესეც იშვიათი ამბავია, ჩემპიონებიც განსხვავდებიან ჩემპიონებისაგან.

...გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის მეორე საშუალო სკოლაში კარგა ხანია კლასიკური ჭიდაობის სექცია მუშაობს. ზაურ ივანაშვილი შვიდი წლის წინათ ჩაეწერა ამ სექციაში. ფიზკულტურის მასწავლებელი და მწვრთნელი გოდერძი ჯოხაძე იხსენებს: „თანატოლებისგან გამოირჩეოდა-მეთქი რომ ვთქვა, არ იქნება სწორი. ჯანიანი ბიჭი კი იყო, მაგრამ ასეთები ჩვენში სხვაც ბევრი გვყავდა. მერე და მერე იმდენი ივარჯიშა, რომ ყველას გადაასწრო და სამაგალითო მოჭიდავე გახდა. ჯერჯერობით შედეგები კარგი აქვს: მეხუთე წელია ოფიციალურ შეჯიბრებებში გამოდის და ყველგან პირველი იყო —რესპუბლიკურშიც და საკავშიროშიც. ახლა, აგერ, ამერიკაშიც გვასახელა, სხვათა შორის, აქამდე საერთაშორისო შეჯიბრებაში არც გამოსულა“.

მსოფლიო ჩემპიონატებისთვის გულმოდგინედ არჩევენ სპორტსმენებს. საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატები (თითო წონაში 3-4 კაცი) ორი წელიწადი ემზადებოდნენ ამ შეჯიბრებისთვის, ნაკრების წევრთა ვინაობა კი საბოლოოდ ცნობილი გახდა მხოლოდ ივლისის მიწურულს, მინსკის დასკვნით სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე. ერთიც უნდა ითქვას: ზაურ ივანიშვილს უფრო ადრე ჰქონდა ადგილი „დაჯავშნული“, რადგან ქვემძიმე წონაში ღირსეული კონკურენტი არ ჰყავდა — ოფიციალურ თუ საკონტროლო შეხვედრებში ყველას იოლად უმკლავდებოდა.

....ახლა ჩემს პირდაპირ ზის ზაური, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობს: „ჯერ პარიზში ჩავფრინდით, მერე მონრეალში... იქიდან ჩიკაგო და ბოლოს კოლორადო-სპრინგსი. მასპინძლები ყურადღებით გვეპყრობოდნენ, დარბაზი თითქმის ყოველდღე ივსებოდა მაყურებლებით. როცა ლეიბზე ამერიკელი მოჭიდავე გამოდიოდა, ყურთასმენა არ იყო. მეც შევხვდი ერთ ამერიკელს—სტიუარტს. მწვრთნელებმა გამაფრთხილეს, შარშანდელი ჩემპიონ[illegible] რადღებით იყავიო... სამ წუთში მოვუგე. სტიუარტამდე დავამარცხე შვედი კარლსტენი, მესამე წრეში — იტალიელი ფერარი, ფინალში კი გფრ-ის წარმომადგენელი როში“.

ზაურს მეტი არაფერი უთქვამს: მე კიდევ დამრჩა სათქმელი — იქნებ ახალი არაფერი, მაგრამ მაინც: სპორტში წარმატებას რამდენიმე კომპონენტის ერთობლიობა განსაზღვრავს: ნიჭი, შრომისმოყვარეობა (ესეც ხომ ნიჭია!), მწვრთნელი, გარემო. მოზარდს, რომელიც დიდ სპორტში მოდის, ნიჭთან ერთად აუცილებლად სჭირდება მწვრთნელის მზრუნველი ხელი, სჭირდება ადამიანი — მშობელივით, მეგობარივით გვერდით რომ დაუდგება და შრომას, არჩეულ საქმეს შეაყვარებს, რწმენას ჩაუნერგავს.

ზაურ ივანაშვილს გაუმართლა — გოდერძი ჯოხაძე სწორედ ასეთი კაცი გამოდგა. ჯოხაძეც და ომარ ბლიაძეც რომელმაც თავისი დიდი სპორტული გამოცდილება, ასე უშურველად უწილადა თბილისში ჩამოსულ ყმაწვილს.

ზაურ ივანაშვილმაც გაამართლა — ვარჯიშსაც ასწრებს და სწავლასაც. მისი გამარჯვებებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტშიც ისე ამაყობენ, როგორც მშობლიურ მარტყოფში. ასეა — მონდომება უთუოდ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, ოღონდ საქმისთვის უნდა გაიღო ყველაფერი, რაც გაგაჩნია, რაც სხვამ მოგცა. სპორტისათვის კი ნამდვილად ღირს მსხვერპლის გაღება.

ხომ ასეა? ამას უკვე შენ გეკითხები პატარა ბიჭო, ზაურის თანასოფლელო, საჭიდაო დარბაზის კარებთან რომ ატუზულხარ და ყოყმანობ: შევიდე თუ არ შევიდეო. რასაკვირველია, უნდა შეხვიდე, ივარჯიშო, თავიც ასახელო და ქვეყანაც.

ე. ბერიშვილი.

● რეგბი ● სსრ კავშირის ჩემპიონატი

უძლიერესი ლიგის 4 საგზურისთვის

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის რეგბისტთა 8 გუნდი (თბილისის „ლოკომოტივი“ და „შევარდენი“, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი და „სპარტაკი“, ალმა-ათის ასკ, კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, კაუნასის „სტაკლე“ და ლვოვის „სოკოლი“) იბრძვის უმაღლესი ლიგის 4 საგზურისთვის. ვილნიუსსა და კარასტიშევში (უკრაინა) უკვე გაიმართა I და II ეტაპის მატჩები. ამჯერად ეს გუნდები ორ ქვეჯგუფად არიან დაყოფილნი და ცალ-ცალკე ასპარეზობენ. **თბილისის ქვეჯგუფში** გამოდიან ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და „შევარდენი“, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი და ალმა-ათის ასკ.

გუშინწინ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე გაიმართა პირველი ტურის შეხვედრები. „ლოკომოტივმა“ ანგარიშით 13:9 დაამარცხა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი. მასპინძლებს 9 ქულა შესძინა ა. გიორგაძემ, 4 — ლ. მგელაძემ. ასევე წარმატებით ითამაშა ჩვენმა მეორე კოლექტივმა —„შევარდენმა“. მისი მეტოქე იყო ალმა-ათის ასკ. ქართველმა რეგბისტებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და გაიმარჯვეს — 12:6.

მეორე ტურის შეხვედრები დღეს გაიმართება. „ლოკომოტივი“ ხვდება ალმა-ათის არმიელებს, „შევარდენი“ კი — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის რეგბისტებს.

ამ ეტაპის დამთავრების შემდეგ, ყველა 8 გუნდი სექტემბერში ლვოვში შეიკრიბება და საბოლოოდ იქ განაწილდება უმაღლესი ლიგის საგზურები.

დ. თაქთაქიშვილი,
საქართველოს რეგბის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.

● შაში

პრეტენდენტი მიზანთან ახლოა

ე. ალტშულმა (მინსკი) VIII პარტიაც მოუგო ქალთა შორის შაშში მსოფლიო ჩემპიონ ო. ლევინას (ხარკოვი) და საგრძნობლად დაწინაურდა (5,5:2,5) მატჩში მსოფლიო პირველობაზე..

დარჩენილ ოთხ პარტიაში 18 წლის მინსკელ მოშაშეს ქულაც ყოფნის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული რომ დაეუფლოს.

IX პარტია დღეს, 22 აგვისტოს გათამაშდება.

პირველივე ცდა—„ოქროსი“

კიევში მიმდინარე მძლეოსანთა საკავშირო პირველობაზე 100 მეტრზე რბენაში ოქროს მედალი მოიპოვა სვერდლოვსკელმა ა. პროკოფიევმა — 10,33. ქალთა შორის ამავე დისტანციაზე ჩემპიონი გახდა მოსკოვის ოლიმპიადის გამარჯვებული **ლ. კონდრატიევა** (დონის როსტოვი) — 11,28. 100 მეტრზე თარჯრბენის ფინალურ გარბენში ყველას აჯობა მარია მერჩუკმა — 12,87.

ნუნუ აბაშიძის პირველივე ცდა „ოქროსი“ გამოდგა — ოდესელი სპორტსმენის ნატყორცნი ბირთვი 21,20 მეტრზე დაეცა. ეს შედეგი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში წლევანდელ სეზონში. ბირთვი 9 წლის წინათ ნ. ჩიჟოვას მიერ დამყარებული რეკორდის აღმნიშვნელ წითელ ალამთან ახლოს დაეცა.

დღეს კიევის რესპუბლიკურ სტადიონზე ქვეყნის უძლიერესი სპრინტერები, მხტომელები და მტყორცნელები ჩემპიონატის მედლების გარდა კონტინენტის ჩემპიონატის საგზურისთვის ეჯიბრებიან ერთმანეთს. მძლეოსანთა ამ დიდ ფორუმს კვლავ საბერძნეთის დედაქალაქი უმასპინძლებს.

ევროპის ჩემპიონატზე

უნგრეთის ქალაქ ნირედჰაზეში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი ჩოგბურთში. წარმატებით დაიწყეს ფინალური ტურნირი საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც უკვე მოიპოვეს ორი ოქროს მედალი. ვაჟთა წყვილებს შორის გამარჯვება იზეიმეს ვადიმ ბორისოვმა და კონსტანტინე პუგაევმა, რომლებმაც სძლიეს ჩეხოსლოვაკიელებს ნავრატილსა და ლაჩეკს — 7:6, 6:2, 6:3. ასეთივე წარმატებას მიაღწიეს გოგონათა (20 წლამდე) ფინალში ოლღა ზაიცევამ და სვეტლანა ჩერნიოვამ. მათ ანგარიშით 6:3, 6:2 მოუგეს ჩეხოსლოვაკიელებს ნოვაკოვასა და პისკაჩოვას. გოგონათა ერთეულების ფინალში პისხაკოვამ დაამარცხა ჩერნიოვა — 6:4, 6:2. ქალთა წყვილებში უძლიერესი იყო რუმინელთა „დუეტი“ დები რომანოვების შემადგენლობით.

იუმორი

კბილის ექიმი და კრივი

— მიმაჩნია, რომ კრივი სპორტის ერთ-ერთი საუკეთესო სახეობაა.

— თქვენ რა, კრივს მისდევთ?

— არა, კბილის ექიმი ვარ.

„სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 34-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 1 (კალათბურთი), 3 (ბობსლეი), 18 (მძლეოსნობა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 35 (ჰოკეი), 38 (აკრობატიკა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 8 ტრეკზე ველორბოლა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 28 (ტყვიის სროლა), 34 (ბალახის ჰოკეი), 36 (ავიასპორტი).

რედაქტორი ა. ბახილაია

ლენინური კომკავშირის
სახელობის ცენტრალური
საწყლოსნო-სპორტული
კომპლექსი
აცხადებს
ბავშვთა მიღებას ცურვის
შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან ბავშვები
6-დან 12 წლის ასაკამდე

საექიმო მიმართვების გაცემა იწარმოებს 25 აგვისტოდან საცურაო კომპლექსის სალაროებში სანაპიროს მხრიდან.

მეცადინეობა დაიწყება 6 სექტემბერს.

მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. 1 შესახვევი № 34.

ტელეფონები: 99-81-79, 99-80-19.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები —93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
ИНДЕКС 66435
08419